ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თეა ჭეიშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ნელი ვარდიაშვილი – კოლეგიის წევრი

ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ადვოკატი ლ. ჯ. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 19.04.2017

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 030/17

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ქ. უ.-ს მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ქ. უ.-სათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2017 წლის 19 აპრილს ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ადვოკატმა ლ. ჯ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ქ. უ.-ს მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2017 წლის 10 აპრილს ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ადვოკატმა ქ. უ.-მ და მოითხოვა მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ქ. უ.-ს საჩივარი არის დაუსაბუთებელი, რადგან მან საჩივარს მტკიცებულებად დაურთო ამონაწერი ვებ. საიტიდან ,,a..ge"-დან. ეს საიტი და სადავო სტატია არ არის რეგისტრირებული მის სახელზე, ამასთან, წარმოდგენილ ფოტომასალაში არ ჩანს სტატიის საიტზე განთავსების დრო და თარიღი, შესაბამისად ქ. უ.-ს მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილი ამონაწერი არ არის ავთენტური, წარმოდგენილი დოკუმენტაცია არის დამონტაჟებული.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ქ. უ., როგორც ეთიკის კომისიის წევრი, თავის თანამდებობას იყენებს ბოროტად, სურს მისი დისკრედიტაცია და პირადი ანგარიშსწორება. ასევე მიაჩნია, რომ ეთიკის კომისიის მოქმედი შემადგენლობა მის საჩივარს არ განიხილავს სამართლიანად.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატს ეთიკის კომისიის მიერ საჩივარი ჩაბარდა 2016 წლის 24 აპრილს და მას ახსნა-განმარტება კომისიისათვის არ წარმოუდგენია.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ქ. უ. არის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სამოქალაქო სამართალი. ადვოკატის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან".

3.2 ადვოკატმა ლ. ჯ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა 2017 წლის 19 აპრილს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2017 წელს ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ქ. უ.-ს მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის თანახმად, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 2017 წლის 12 ივნისს საჩივრის ავტორმა განცხადებით მომართა ეთიკის კომისიას, სადაც მიუთითა, რომ მასსა და ადვოკატ ქ. უ.-ს შორის არსებული გაუგებრობა აღმოიფხვრა, ისინი მორიგდნენ და აღარ სურდა განხილულიყო მის მიერ ეთიკის კომისიისათვის წარდგენილი საჩივარი.

5.2 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის თანახმად: ,,საპროცესო კოლეგია შეწყვეტს საქმის წარმოებას დებულებით გათვალისწინებული საფუძვლებით, ასევე იმ შემთხვევაშიც, საჩივრის ავტორი, უარს იტყვის საჩივარზე (მიმართვაზე)". შესაბამისად, ვინაიდან საჩივრის ავტორმა უარი თქვა საჩივარზე, ადვოკატ ქ. უ.-ს მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური საქმის წარმოება.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19–მე-20

მუხლებით, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით; 31-ე მუხლით, მე–40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N030/17 ადვოკატ ქ. უ.-ს მიმართ /სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თეა ჭეიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ნელი ვარდიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ინგა სეხნიაშვილი/